ქ.თბილისში, გორგასალის ქ.№3-ში მდებარე არსებული შენობის ფასადის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში გორგასლის ქ. №3-ში მდებარე შენობის ფასადის რეკონსტრუქციის პროექტი დამუშავებულია “საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი”-ს მიერ.

არსებული შენობა სამსართულიანია, შენობას გააჩნია სარდაფიც. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა: შენობის კონსტრუქციული სქემა წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასს მონოლითური გადახურვის ფილებით. კარკასის შევსება აგურის და მცირე ზომის ბეტონის ბლოკებისაა. შენობას არ გააჩნია რაიმე კონსტრუქციული პრობლემები, აშენებულია წინა საუკუნის 70-80-იამ წლებში.

ფასადის რეკონსტრუქცია ითვალისწინებს სარდაფის დონეში ავტოსადგომის ნაწილის დაშლას და ფასადზე არქიტექტურული ელემენტების დამატებას.

პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად, ფასადზე დიდი მოცულობის არქიტექტურული ელემენტების მოწყობა გათვალისწინებულია ლითონის ელემეტების კარკასისაგან, შემდგომში მათი გალესვით ქვიშაცემენტის დუღაბით.

დასკვნა: ქ. თბილისში გორგასლის ქ. №3-ში მდებარე შენობის ფასადის რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები არ აზიანებს საპროექტო შენობის და სხვა ახლო მდებარე ნაგებობების კონსტრუქციულ მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების მოთხოვნილობას.

კონსტრუქტორი გ. ცომაია